გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

- 2025 წლის 1 იანვრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა 7 (შვიდი) კორესპონდენცია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, რაზეც წერილობითი პასუხი იქნა გაცემული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

- საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა.

- საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნები არ დარღვეულა და შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

- საჯარო ინფორმაციის გაცემის შემთხვევაში და აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით”.

- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის დამუშავებასთან და გაცემასთან დაკავშირებით რაიმე ხარჯი არ გაუწევია.

- გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად ის არ გასაჩივრებულა და გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯიც არ ყოფილა.

- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯი არ გაწეულა.

საკრებულოს თავმჯდომარე Marlen Nadiradze 59001038013 Digitally signed by Marlen Nadiradze Date: 2025.12.10 19:16:14 **მარლენ ნადირაძე**